

**გეგულოვს, ღებულოვს ტიპის ზმნები**  
**თანამედროვე ქართულში**

იგებს, იღებს, ითხოვს, იტყობს, იჩემებს, იფიცავს, იკლებს, იმატებს... ზმნურ ფორმათა გვერდით აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ დრო-კილოებში — ნამყო უსრულსა და I კავშირებითში — თანამედროვე ქართულში გეგულოვს (გებულობდა, გებულობდეს), ღებულოვს (ღებულობდა, ღებულობდეს), თხოულობს (თხოულობდა, თხოულობდეს), ტყობილობს (ტყობილობდა, ტყობილობდეს), ჩემულობს (ჩემულობდა, ჩემულობდეს), ფიცულობს (ფიცულობდა, ფიცულობდეს), კლებულობს (კლებულობდა, კლებულობდეს), მატულობს (მატულობდა, მატულობდეს)... ფორმები იხმარება.

მაგალითად<sup>1</sup>:

**თხოულობს || ითხოვს**

თ ხ ო უ ლ ო ბ ს :

მე შენგან ცრემლს არ ვთხოულობ (ო. ჭილ. თარგმ.).

არც იმას კითხულობს, ... რის ვაკეთებს თხოულობს აბონენტი (ო. იოს.).

კაცი შევლას თხოულობდა („სოფლის ცხოვრება“).

წასვლისათვის პატიებას თხოულობდა (ს. იორამ.).

ბეკი ჯერ კიდევ ებრძოდა სიკვდილს და თხოულობდა, რევოლვერი მომეცითო (მის. კვეს.).

[მოშები] მარჩიელობდნენ, ხელოსნობდნენ, მოწყალებას თხოულობდნენ („საქ. ქალი“).

საზღაურს არ თხოულობდა (ანდ. ჭეიშ. თარგმ.).

არაფერზე დაიწუწუნებდა, არაფერს თხოულობდა (ანდ. ჭეიშ. თარგმ.).

ახლა მოვსტუვარ და ანგარიშის გასწორებას ვთხოულობ (ვ. ჭეიშ. თარგმ.).

მუშა ისვენებს... ამას თხოულობს ორგანიზმი („კომ.“).

ეს ფორმა XIX საუკუნის ქართველ მწერალთა ნაწერებშიც გვხვდება:

<sup>1</sup> საილუსტრაციო მასალა თანამედროვე ქართულსაათვის ძირითადად ბოლო ოთხი (1967—1970) წლის ჟურნალ-გაზეთებიდანაა ამოკრებილი.

ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა (ილია).  
გადაჭრილს, გადაწყვეტილს სიტყვასა თხოულობს (ილია).  
მუდამ იმას თხოულობს, ფული, ფული და ფული (აკაკი).  
ყველა თხოულობს იმასა, რაცა რამ დაუთესია (ვაჟა).  
პასუხს თხოულობს სალამი (ვაჟა).

**თხოულობს ცოლის შერთვის, დაქორწინების მნიშვნელობითაც**  
ინმარება. ამ გაგებით მას პირდაპირი მიმართების ფორმები უჩნდება  
და გვაქვს: **მთხოულობს || ცოლად მთხოულობს, გთხოულობს || ცო-**  
**ლად გთხოულობს.**

ჯეი თხოულობს ცოლს („ლიტ. ხაქ.“).

გაერცელდა ხმა: თებერა ეონას თხოულობსო (ვ. ბარნ.).

[მამასახლისები] ხშირად სპარსელის ხელმწიფეების ქალებს თხოულობდენ  
(ი. ვოგებ.).

ამბობენ, [სიმონა] ცოლს თხოულობსო (ე. ნინოშ.).

— პაეღე გთხოულობს, გაჰყვები თუ არა? (მ. ჯავახ.).

— გოგო, ... აი თევდორა გთხოულობს, ბელგა მოუტანია (ვ. ბარნ.).

თევდორა გთხოულობს, ძალიან შეჰყვარებხარ (ვ. ბარნ.).

... შენ კარგი გოგო ხარ და ლამაზიც და იმიტომაც ბევრნი გთხოულობენ  
(დ. ქონქ.).

ამ მნიშვნელობით აწმყოში პარალელური ფორმა **ითხოვს || ცოლს**  
**ითხოვს** სახით არა გვაქვს. ეს უკანასკნელი მხოლოდ მყოფადის გაგე-  
ბას გვაძლევს. ასე რომ, აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ დრო-კილოებ-  
ში გვაქვს **ცოლს თხოულობს (ცოლს თხოულობდა, ცოლს თხოულობ-**  
**დეს)**, მყოფადსა და მისგან ნაწარმოებ დრო-კილოებში — **ცოლს**  
**ითხოვს (ცოლს ითხოვდა, ცოლს ითხოვდეს).**

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უპირატესობა ამავე  
მნიშვნელობის მქონე **ცოლს ირთავს (— ცოლს შეირთავს)** და **ქორ-**  
**წინდება (— დაქორწინდება)** ფორმებს ენიჭება, ხოლო გამოთქმას  
**ცოლს თხოულობს (— ცოლს ითხოვს)**, ისევე როგორც გამოთქმას  
**ცოლი მოჰყავს (— ცოლს მოიყვანს)** დიალექტური ელფერი აქვს.

**თხოულობს** უბიექტოდ იშვიათად შეიძლება **მათხოვრობს, გლა-**  
**ხაობს** მნიშვნელობით შეგვხვდეს. მაგ.: „დავდივარ ქვეყანაზედ,  
ვთხოულობ და კეთილი ხალხის წყალობით ლუქმასა ვჭამ“  
(ა. ყაზბ.). ასეთ კონტექსტში უმჯობესია **მათხოვრობს** ვინმართ. მაგ.,  
ასე: „დავდივარ ქვეყანაზედ, ვმათხოვრობ და... ლუქმასა ვჭამ“.

ითხოვს:

ციმციმებდნენ ეს სინათლეები ველზე... და საზრდოს ითხოვდნენ. საზრ-  
დოს ითხოვდნენ ყველაზე მოკრძალებულნიც კი მათ შორის (თ. თარხნ. და  
ლ. სულხ. თარგმ.).

ხშირად ნატრობენ ღამის სიმშვიდეს, ხშირად ქარსა და წვიმას ითხოვენ  
(ვ. ჯავახ.).

წყაროსთან ზის და მოწყალებას ითხოვს (ნ. ჯანაშ. თარგმ.).

რუსეთი ომის შეწყვეტას ითხოვს, პორტა ჯიუტობს (ე. მაღრ.).

თავადები ვალის გადახდის ვაგრაჟელებას ითხოვდნენ (ე. მაღრ.).

მე ვიღებ იმ მსხვერპლს, რას სამსხვერპლო შენავე ითხოვს (ა. კალანდ.).

გამლენი დაჟინებით ითხოვდა მაცდურის დასახელებას (გ. ქიქ. თარგმ.).

მიწა თესლს ითხოვდა (ო. იოს.).

მრავალი წამოწყებული გამოკვლევა დაბოლოებას და სინათლეზე გამოტანას ითხოვს („ლიტ. საქ.“).

ისტორიული ხასიათის დრამა ავტორისაგან დიდ ცოდნასა და ოსტატობას ითხოვს (გ. ქიქ.).

როგორც ვხედავთ, **თხოულობს** და **ითხოვს** ფორმები აწმყოში ერთი და იმავე, სახელდობრ, რისამე **თხოვნა-ხვეწის**, **მოთხოვნის** ან **საჭიროების** მნიშვნელობით იხმარება (გამონაკლისს წარმოადგენს **ცოლს თხოულობს**, რომელსაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პარალელური ფორმა **ცოლს ითხოვს** სახით აწმყოში არ მოეპოვება). როცა ზმნას რისამე **თხოვნა-ხვეწის** გაგება აქვს, მყოფადში **ითხოვს** ფორმა შეესაბამება (რას იზამს? **შეველას**, **მოწყალებას**, **პატიებას**, **შენდობას**, **სალამს** და სხვ. **ითხოვს**), ხოლო რისამე **მოთხოვნის** მნიშვნელობით — **მოითხოვს** ფორმა (**პასუხს**, **ანგარიშის** **გასწორებას**, **გადაჭრილ სიტყვას** და სხვ. **მოითხოვს**)<sup>2</sup>. **საჭიროების** (**საჭიროებს**) მნიშვნელობით **თხოულობს** || **ითხოვს** ფორმებს ზოგადი აწმყოს გაგება აქვს (მაგ.: **ორგანიზმი დასვენებას**, **ბავშვი სითბოსა და ყურადღებას**, **მიწა თესლს თხოულობს** || **ითხოვს**) და, ცხადია, ნამყო უსრულის გარდა, რომელიც ამავე ფუძისაგანაა ნაწარმოები (**თხოულობდა** || **ითხოვდა**), სხვა ფორმები არ ექნება.

ზოგადი აწმყოს შინაარსით შეიძლება შეგვხვდეს **მოითხოვს** ზმნაც. მაგ.: „ყოველივე ეს ახალი ტექნიკის შექმნისა და გამოყენებისადმი განსაკუთრებულ მიდგომას **მოითხოვს**“ („კომ.“). „ეს ადგილები აღამიანისაგან ძლიერებას **მოითხოვს**“ (ჭ. ამირ.).

ამრიგად, აწმყოს წრისათვის გვაქვს **ითხოვს** || **თხოულობს**, მყოფადისათვის — **[მო-]ითხოვს**:

**ითხოვს** || **თხოულობს** — **[მო-]ითხოვს**

<sup>2</sup> **მოითხოვს** ფორმას შეიძლება აწმყო დროის გაგებაც ჰქონდეს. ამ შემთხვევაში იგი კატეგორიული, დაჟინებული თხოვნის ნიუანსს შეიცავს და საზიაროა აწმყომყოფადისათვის. მყოფადი ექვს არ იწვევს, დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს აწმყოსათვის: „საბჭოთა კავშირის პროექტი... გადაჭრით **მოითხოვს** მწვიდობის შენარჩუნებას“ („კომ.“). „მოვითხოვთ, რომ ისრაელმა შეწყვიტოს ცეცხლი“ („თბილისი“).

## კლებულობს || იკლებს

კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს :

კ ლ ე ბ უ ლ ო ბ და წვირითა მესაკუთრეთა რიცხვი (ილია).

[ბამბის] თესვა... ახლა ისევ კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს (ი. ვოგებ.).

სახლების ბან-ფანჯრებში შუქი თანდათან კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს (თ. რაზიკ.).

ცრემლი კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს (ჭ. ლომთ.).

ყურმა... არსენას უგუნებობას ატყობს, მისი სიხარულიც თანდათან კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს (მ. ჯავახ.).

... რაც დრო გადიოდა, ისედაც მცირე შემოსავალი თანდათან კ ლ ე ბ უ ლ ო ბ და (რ. გვეტ.).

ხალხის ზრიალი თანდათან კ ლ ე ბ უ ლ ო ბ და (გ. კიკილ. თარგმ.).

დღე კ ლ ე ბ უ ლ ო ბ და (ო. ქილ.).

სიცხე კ ლ ე ბ უ ლ ო ბ და (გ. გეგ.).

ზღვის დონე აქ კ ლ ე ბ უ ლ ო ბ და („კომ.“).

ქიმიური რეაქციის მონაწილე ატომთა საერთო რაოდენობა არც დიდდება და არც კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს („სახ. გან.“).

მდინარეებში წყალი კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს („კომ.“).

შეგირდების რიცხვი... კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს ზამთარში („სახ. გან.“).

## ი კ ლ ე ბ ს :

მიწა არც იმატებს, არც იკლებს (ილია).

ნამუშევარის წილი არც იკლებს, არც მატულობს (ილია).

მისი სიჩქარე არც იმატებს, არც იკლებს („ივერია“).

ზაფხულში... მდინარე იკლებდა და მიდიოდა ღელესავით (ს. კლდ.).

სიცხე კი თანდათან იკლებდა (გ. გეგ.). შღრ. იმავე ავტორთან: სიცხე კ ლ ე ბ უ ლ ო ბ და.

ღამით ტემპერატურა საგრძნობლად იკლებს ხოლმე („კომ.“).

არანორმალური კვების შედეგად დედა ბოცვერი იკლებს წონაში („სოფლის ცხოვრება“).

## მატულობს || იმატებს

მ ა ტ უ ლ ო ბ ს :

გულში მ ა ტ უ ლ ო ბ ს ვარამი (ვაჟა).

დღე დეკემბრიდანვე მ ა ტ უ ლ ო ბ ს (ი. ვოგებ.).

ქარი და თოვლ-ჭყაბი თანდათან მ ა ტ უ ლ ო ბ და (ე. ნინოშ.).

ღმუთოდა ქარი და მ ა ტ უ ლ ო ბ და გულში სევდა (ჭ. ლომთ.).

სიცხე მ ა ტ უ ლ ო ბ და (ო. იოს.).

ავადმყოფის სისხლში ნარჩენი აზოტები მ ა ტ უ ლ ო ბ და (რ. ქეიშ.).

დღითი-დღე მ ა ტ უ ლ ო ბ და ხვალი და ბარაქა („სოფლის ცხოვრება“).

[ჰოლანდიაში] მ ა ტ უ ლ ო ბ ს უმუშევრობა („კომ.“).

წლითიწლობით მატულობს სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა („კომ.“).

ავადმყოფის გადაარჩენის იმედი მ ა ტ უ ლ ო ბ ს („კომ.“).

ზოგიერთ ქვეყანაში ეს რიცხვი რამდენადმე შენელებულად მ ა ტ უ ლ ო ბ ს („ლიტ. საქ.“).

## იმატებს:

[სირაქლემას] უკვე შებუმბლული წიწილა ნახევარ-წელიწადში წონაში იმატებს 30 კილოგრამამდე (კომ.).

ბავშვები სწრაფად იმატებენ წონაში („სოფლის ცხოვრება“).

მიწა არც იმატებს, არც იკლებს („ივერია“).

მისი სიჩქარე არც იმატებს, არც იკლებს (ილია).

საინტერესოა პარალელურ ფორმათა ხმარების შემთხვევები ერთი და იმავე წინადადების ფარგლებშივე:

თქვენი ოჯახი, წვიმაში რომ წყალი მატულობდეს, ისე იმატებს. (ე. ნინოშ.).

ნამუშევრის წილი არც იკლებს, არც მატულობს (ილია).

ა) იკლებს, იმატებს შეიძლება იყოს აკლებს, ამატებს. ზმნების სასუბიექტო ქცევის ფორმები: იკლებს, იმატებს თავისას ან თავისთვის:

[მათე] მსნეობს, თვითონ იკლებს და შეილებს კოსკოლაში ზრდის (ვაჟა).

კითხულობენ და დღითიღე იმატებენ ცოდნას (ი. გოგებ.).

სასუბიექტო ქცევის გაგებით ამ ზმნებს მყოფადში და-, მი-, მო- ზმნისწინიანი წარმოება აქვთ: და-იკლებს, მი-იკლებს, მო-იკლებს; და-იმატებს, მი-იმატებს, მო-იმატებს თავისთვის რასმე.

ბ) იკლებს ზმნას რისამე დარბევის, აწიოკების, ახრების, გაჩანაგების, აგრეთვე აურზაურის, ხმაურის ატეხის მნიშვნელობაც აქვს:

ახალციხის ფაშა ქართლს იკლებდა (ილია).

კამჩები ბოსტნებს იკლებდნენ (ვაჟა).

ტურები... კვილ-ყუმილით იქაურობას იკლებდნენ (გ. წერეთ.).

ამ მნიშვნელობით იკლებს ზმნას მყოფადში ა- ზმნისწინიანი ფორმა შეესატყვისება: ქართლს, ბოსტნებს, იქაურობას ა-იკლებს.

გ) იკლებს, იმატებს — წარმოშობით სათავისო ქცევის ფორმებს მნიშვნელობით მცირდება, დიდდება (ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში მათ ეს მნიშვნელობა აქვთ და სწორედ ამ მნიშვნელობით ენაცვლება მათ აწმყოში იკლებულობს, მატულობს ფორმები) — მხოლოდ ერთი პირი — სუბიექტი შეეწყობა; პირდაპირი მიმართების ფორმები მათ მოშლილი აქვთ, შესაბამისად დაკარგულია ქცევის გაგებაც.

კლებულობს || იკლებს, მატულობს || იმატებს. აწმყოს ფორმები მყოფადისათვის ჩვეულებრივ იკლებს, იმატებს ფორმებს გამოიყენებს (დღე, დამე, მოსახლეობის რაოდენობა იკლებს ან იმატებს), მაგრამ შეიძლება ზმნისწინიანი ფორმებიც ვეჭონდეს: და-იკლებს, მო-იკლებს (ფასები და-იკლებს; ზამთარში დღე მო-იკლებს), მო-იმატებს (გაზაფხულზე დღე მო-იმატებს).

ასე რომ, იკლებს || კლებულობს, იმატებს || მატულობს აწმყოს ზმნურ ფორმებს მყოფადში [და-, მო-]იკლებს, [მო-]მატებს ფორმები შეესატყვისება:

იკლებს || კლებულობს — [და-, მო-]იკლებს  
იმატებს || მატულობს — [მო-]მატებს

ღებულობს || იღებს  
ღებულობს:

ფრადოსანი არა ვარ, მაგრამ საშინსაც იშვიათად ვღებულობ (რ. ბეჟან).  
ხანდახან ორიანებსაც ვღებულობ (ვ. ურჯუმი).

ყოველგვარ ზომებს ვღებულობთ ხე-ტყის უნებართვო მჭრელების წინააღმდეგ („სოფლის ცხოვრება“).

— რამდენს ღებულობ?

— ჯამაგირს?

— ჰო, ხელფასს.

— ვღებულობ რა, ხან მეტს, ხან ნაკლებს (ო. იოს.).

— ნუ გრცხვენიათ... — განაგრძობდა მამიკო, — მე ეგ კარგად მესმის... ეინც ამბობს არ ვღებულობ, — სწორედ ის ღებულობს... ახლა ვინ აღარ ღებულობს? (ფ. ნიშნ. თარგმ.).

... ვანუვითარებელი სხეული არასწორ პოზას ღებულობს („საქ. ქალი“).

... ჩაისთან ერთად მომხმარებელი ღებულობს ლიმონს („სოფლის ცხოვრება“).

[რადისტი] ზუსტად... თერთმეტ საათზე ღებულობდა ანგარიშს წყალქვეშა ნავიდან („პიონერი“).

[შით არაგვისპირელი] აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს დაარსებაში („სოფლის ცხოვრება“).

საერთოდ სვანეთში ჭირსა თუ ლხინში მიპატიება წესი არ არის. სოფლის ყველა მცხოვრები უკლებლივ ღებულობს მონაწილეობას („ცისკარი“).

ღებულობს ზმნას შეიძლება პირდაპირი მიმართების ფორმებიც გაუჩნდეს. მაგ.:

სამუშაოზე არ მღებულობენ (ა. ლომ.).

— ჩამოვედი, ასე რამ გაგაკვირვა!

— შენ ხომ თქვი, სამშაბათამდე ვერ ჩამოვალო?!

— დღეს არ მღებულობ? (ვ. ურჯუმი).

იღებს:

ვარლამი დიდის ვაინაჩრობით ეჩვეოდა უცხო გვარების ქღერადობას და ისინიც, ბოლოსდაბოლოს, თავიანთ ჩვეულებრივ სახეს იღებდნენ (რ. ჯაფ.).

ღელამიშის მსგავსად ვენერა სითბოსა და სინათლეს მზისაგან იღებს (ეგზ. ხარ.).

ამბობენ, ბიჭის პენსიასაც უკანონოდ იღებდაო („თბილისი“).

აქ იღებენ ყველა იმ ვაზეთს, ჟურნალს, წიგნს, ... რომელიც საქართველოში იბეჭდება („თბილისი“).

რელაქცია ყოველდღიურად... იღებს [მშრომელთა წერილებს] („თბილისი“).

ამჟამად თბილისი ყოველ წაშში იღებს შედიდან 9 ათასამდე ლიტრ წყალს. ... 1950 წელს ყოველი მოსახლე დღე-ღამეში 230 ლიტრ სასმელ წყალს იღებდა („თბილისი“).

წელს გაცილებით უფრო კარგად მომზადებული ახალგაზრდობა იღებდა მონაწილეობას კონკურსში („კომ.“).

ნიკოლოზი მონაწილეობას იღებს ქვეგანაცოფის საზოგადოებრივ ცხოვრებაში („კომ.“).

რა ამოცანები და მიზნები აქვს დათვლიერებას? ვინ იღებს მასში მონაწილეობას? („კომ.“).

მოყვანილ მაგალითებში **ღებულობს** || **იღებს** ზმნას რისამე (ორიანის, წერილების, ჯილდოს...) ან რაიმეში მონაწილეობის მიღების შინაარსი აქვს. მყოფადში ამ გაგებით **მი-იღებს** — **მი-** ზმნისწინიანი ფორმა — გვაქვს: **ორიანს, წერილებს, ჯილდოს...**, რაიმეში **მონაწილეობას მი-იღებს**.

**ღებულობს** || **იღებს** ფორმებს შინაარსობრივი ნიუანსით — **ეძლევა, აძლევენ** მყოფადში **მი-იღებს** ფორმასთან ერთად **ა-იღებს** ფორმაც შეიძლება ჰქონდეს. ასე მაგალითად:

აწმყო: **სტიპენდიას, პენსიას, ხელფასს... იღებს** || **ღებულობს**.

მყოფადი: **სტიპენდიას, პენსიას, ხელფასს... მი-იღებს** || **აიღებს**.

**აიღებს** ზმნას აქ რისამე **მიღების** მნიშვნელობა აქვს, რაც განაპირობებს კიდევ ამ ორი ზმნის თავისუფალ მონაცვლეობას.

ეს ერთია **იღებს** ზმნის მრავალ მნიშვნელობათაგან. საქმე ისაა, რომ **იღებს** ზმნისწინით განსხვავებული და, შესაბამისად, განსხვავებული მნიშვნელობის მქონე რამდენიმე ზმნის აწმყოს საზიარო ფორმაა. სხვაობა კარგად ჩანს მყოფადში:

**ა-იღებს**: **ჯოხს აიღებს; ჭირნახულს, მოსავალს აიღებს; ზომას აიღებს; ციხეს აიღებს**.

**ამო-იღებს**: **ჭიდან წყალს ამოიღებს; ნავთობს, ქვანახშირს ამოიღებს**.

**გა-იღებს**: **მსხვერპლს გაიღებს**.

**გადა-იღებს**: **ფილმს, სურათს გადაიღებს**.

**გადმო-იღებს**: **თაროდან წიგნს გადმოიღებს**.

**გამო-იღებს**: **კარადიდან წიგნს გამოიღებს; ნაყოფს, შედეგს გამოიღებს**.

**ჩამო-იღებს**: **თოკიდან სარეცხს ჩამოიღებს**.

**აიღებს, ამოიღებს, გაიღებს, გადაიღებს, გადმოიღებს, გამოიღებს, ჩამოიღებს** ზმნებს, რომელთაც განსხვავებულ მნიშვნელობებთან ერთად განსხვავებული ფორმებიც აქვთ, აწმყოში უზმნისწინო

იღებს შეესატყვისება. და, რაც მთავარია, გამონაკლისის გარეშე. მოცილე ფორმა **ღებულობს** სახით არ გვხვდება (ჯოხს: ჭირნახულს, მოსაეაღს; ზომას; ციხეს; ჭიდან წყალს; ნავთობს, ქვანახშირს; ფილმს, სურათს; კარადიდან წიგნს; ნაყოფს, შედეგს; თაროდან წიგნს; თოკიდან სარეცხს იღებს). როგორც ვხედავთ, განსხვავებულ მნიშვნელობათა აწმყოშიაც გარჩევა-განსხვავების საკითხი აქ არ ისმის. თავისებურებას გვიჩვენებს **იღებს** — **მიიღებს** (და გარკვეულ შემთხვევაში **აიღებს**) ლექსიკური ერთეული, რომელიც აწმყოში **ღებულობს** პარალელურ ფორმას იჩენს:

**იღებს || ღებულობს — მიიღებს [|| ა-იღებს]**

**გებულობს || იგებს**

**გებულობს:**

... ისე ხმადაბლა ელაპარაკება, ვერაფერს **გებულობს** (ვ. ურჯუმ.).

შუა ნოემბერში გრიგოლი **გებულობს**, როგორ ღირსეულად დახვედრიან „ხელმწიფისკაცს“ (ე. მაღრ.).

ამ ბარათიდან **გებულობთ** შემდეგს („კომ.“).

ქართველი მკითხველი... **გებულობდა**, რომ „ეს ბრძოლა ლექსა პურისათვის“ ბრძოლა იყო („სახ. გან.“).

ყურადღებანი და გულისხმიერი ადვილად **გებულობს**, ვის უღბინს და ვის უჭირს, **გებულობს** და ენერჯის არ იშურებს გაჭირვებულის დასახმარებლად („სახ. ქალი“).

მათი სიტყვების მნიშვნელობას ვერ **გებულობდი** (ვ. ურჯუმ.).

[მამა] შინ რომ მოდის, ამას ალაყაფის ხმითაც **გებულობთ** (რ. ინან.).

ცნობისმოყვარე მწერალი **გებულობს** მომავალი რომანის ჩანაფიქრს („ლიტ. საქ.“).

... ბოლოს ისე წავიდა საქმე, რომ ჩამოსული ხალხისაგან **გებულობდი** მის ამბავს (აღ. სამხ.).

**იგებს:**

ნინო სწრაფად **იგებდა**, თუ საღ იმებოდა სიყვარულის იღუპალი ძაფები (ა. ბელ.).

და მხოლოდ ცისკრის **იგებდა** ეამი, სად, რომელ ჭერჭვეშ მეძინა ღამით (ი. აბაშ.).

ყოველდღიურად რაღაც ახალს **ვიგებდი** უფლისწულის პლანეტაზე (გ. ჩიშაძე. თარგმ.).

მათგან ყოველთვის **იგებდა** თავისი სამშობლოს ამბებს (ზ. ლუშკ. თარგმ.).

ლიბრეტოდანვე ჩვენ **ვიგებთ**, თუ ვინ ასრულებს როლებს სპექტაკლში („პიონერი“).

3 აქვე შემოდის ამ ზმნათაგან შედგენილი იდიომატური გამოთქმები და სხვა ფრაზეოლოგიური ერთეულები. კერძოდ: **ხელს იღებს** (ვინმეზე ან რამეზე), (თავის) თავზე **იღებს**, **სუნს იღებს**, **ეჭვს იღებს**, **ზომას** (ტანსაცმლის, ფესსაცმლის...) **იღებს**, **აღღოს იღებს**, **სიხხლს იღებს**, **სიტყვას იღებს**, **ყბად იღებს**, **შეფობას იღებს**, **გულიდან იღებს**, **მიზანში იღებს**, **ოთხში იღებს** და სხვა.



... გათენებას ქუთაისშიც ვეღარ ვიგებდი (ტ. ტაბ.).

ამ დროს იგებს, რომ ეს ამდენი შრომა ტყუილი ყოფილა (დ. კლდ.).

ზაფხულის მოახლოებას ყველაზე უწინ... [მწუწვია] იგებს (თ. რაზიკ.).

**გებულობს || იგებს გონებით** რისამე წვდომის, შეცნობის, რისამე შეტყობის მნიშვნელობაც აქვს. მყოფადში მას იგებს ზმნის გა- ზმნის- წინიანი ფორმა — გა-იგებს შეესაბანება („[უქურნალისტების] პროფესიაა, რაც შეიძლება ჩქარა გაუზიარონ სხვებს ყოველივე, რასაც გაიგებენ“ — „კომ.“). ე. ი. გვაქვს ასე:

**იგებს || გებულობს — გა-იგებს.**

**იგებს შეიძლება ააგებს, გააგებს, დააგებს, ჩააგებს ზმნათა აწმყოს** სასუბიექტო ქცევის ფორმა იყოს:

**იგებს — ა-იგებს:** სახლს აიგებს.

**იგებს — გა-იგებს:** ფეხქვეშ რასმე ვაიგებს.

**იგებს — და-იგებს:** ლოგინს დაიგებს.

**იგებს — ჩა-იგებს:** ბუდეში ბალახს ჩაიგებს.

აქვე შემოდის

**იგებს — მო-იგებს:** ბრძოლას, შეჯიბრებას მოიგებს; ფულს მოიგებს; ვისიმე გულს მოიგებს; დროს მოიგებს; ძროხა ხბოს მოიგებს.

ყველა ამ ზმნურ ერთეულს აწმყოში გამონაკლისის გარეშე იგებს საზიარო ფორმა აქვს, პარალელური გებულობს არსად არ გვხვდება.

**ტყობილობს || იტყობს**

**იტყობილობს:**

ერთმანეთის ამბავსაც კი იშვიათად ტყობილობდნენ („ახ. კომ.“).

ქურნალის აგენტები... უმეგობრდებოდნენ მსახიობებს..., ტყობილობდნენ მათი პირადი ცნობების ყოველ წვრილმანს („ციცკარი“).

თითქმის ყოველდღე ვტყობილობთ შემზარავ ამბებს (გ. ასათ.).

ყოველ დილით, როცა გაზეთს ვაშლის, ინგლისელი ტყობილობს, რომ კვლავ გადიდდა ამა თუ იმ საქონლის ფასები („კომ.“).

თბილისიდან ყოველ ამბავს მისი მწვევობით ტყობილობდა (ს. ჭილა).

ამას ჩვენ თეატრში ვტყობილობთ (გ. ქიქ. თარგმ.).

შენს ამბავსაც ვეღარ ვტყობილობდი (აკაკი).

დაღალვას ვერ ვტყობილობდი (აკაკი).

ისინი ჯარის ბანაკს გარს უვლიდნენ და დაწვრილებით ტყობილობდნენ მათ რიცხვსა და იარაღის სიმრავლეს (ა. ყაზბ.).

თავები ადრე ტყობილობდნენ კატის მოახლოებას (ი. გოგებ.).

**იტყობს:**

როცა იჯარით გაცემის ვაჭრობაა ხოლმე დანიშნული, ვლენკაცობა ვერ იტყობს (ილია).

დილიდან საღამომდის ერთმანეთს გზირად უდგნენ, იტყობდნენ, ვინ რას აკეთებდა (გ. წერეთ.).

გემოთი ჩვენ ვიტყობთ სიტყბის, სიმკაცეს, სიმწარეს... (ი. გოგებ.).

პომპეუსის თანამგზავრთა ცნობებიდან ვიტყობთ, თუ როგორი იყო საქართველოს ვითარება (საქ. ისტ.).

**იტყობს || ტყობილობს** ამჟამად სალიტერატურო ენაში იშვიათად იხმარება. მას მეტწილად იმავე მნიშვნელობის მქონე **იგებს** ზმნაცვლის. **იტყობს || ტყობილობს** ზმნურ ერთეულს მყოფადში **შე-იტყობს** ფორმა უპირისპირდება. გვაქვს:

**იტყობს || ტყობილობს — შე-იტყობს.**

**ჩემულობს || იჩემებს**

**ჩემულობს:**

მაშინვე გამოვიდა ორი ექიმი (ასე ჩემულობდნენ, ექიმი ვართო) (ვ. ჰელ-თარგმ.).

... განა საქიროა კულტურის ელემენტარულ წესებს ვასწავლიდეთ ადამიანს, რომელიც ინტელიგენტის წოდებას ჩემულობს? („კომ.“).

იგი ჩემულობს ხალხის მეთაურობას და ხელმძღვანელობას (მ. ჭავჭავაძე).

დღემდე საღ იყავით, რომ დღეს ჰირსუფლობას ჩემულობთ? (აკაკი).

ქართლ-კახეთზე მბრძანებლობას ჩემულობდნენ სპარსეთიცა და ოსმალეთიც (ი. გოგებ.).

**იჩემებს:**

საზოგადოებაში [მდიდრები] განსაკუთრებულ ადგილს იჩემებდნენ (საქ. ისტ.).

„რად იჩემებ იმას, რაც შენი არ არის?“ („ივერია“).

მეფობას იჩემებ და რად დაგიტევებია სამეფო? (საბა).

ვერ დახვედრიხარ სათანადოდ დიდებულ სტუმარს, პურადობას თუმცა იჩემებ (ვ. ბარს.).

**იჩემებს || ჩემულობს** აწმყოს ფორმებს მყოფადში და-იჩემებს უპირისპირდება:

**იჩემებს || ჩემულობს — და-იჩემებს.**

**ფიცულობს || იფიცებს, იფიცავს, ფიცავს**

**ფიცულობს:**

ბევრმა გაიხსენა საერთო დროსტარებისას, როგორ ფიცულობდა ხოლმე გერმანიას ხორტენი („ახ. კომ.“).

მე ვარ ამერიკაში მცხოვრები სომეხი ქალი, რომელიც... ფიცულობს ყველა თქვენთაგანის სიცოცხლეს („კომ.“).

„ეკონომისტები“ სიტყვით მუშათა კლასის ერთგულებას ფიცულობდნენ, საქმით კი მას ძირს უთხრიდნენ („ბახტრიონი“).

თან ხატზე და სახარებაზე ჰფიცულობდა, რომ ამ საიდუმლოებას სამარეში ჩაიტანდა (მ. ჭავჭავაძე).

**ფიცულობს** ზმნის გვერდით აწმყოში **ფიცავს, იფიცავს, იფიცებს** ფორმები იხმარება. მაგ.:

შობლიურად ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ (გ. ტაბ.).

და უპასუხა ველურმა ტახმა: შენს თავს ვიფიცავ, ო, აფროდიტე, შენი მე-  
უღლის ვიფიცავ სახელს, ... იმ ღვთაებრივი ჭაბუკის მოკვლა არც მიფიქრია  
(ემ. კვტ. თარგმ.).

მის სახელს, მის მზეს, მის აკვანს იფიცებს ყველა ქართველი (ი. ნონეშ.).

იფიცავს და იფიცებს მყოფადისათვის ზმნისწინით ნაწარმოები  
საკუთარი ფორმები აქვს: და-იფიცავს და და-იფიცებს. იფიცავს, რო-  
მელიც ჩვეულებრივ მხოლოდ აწმყოს ფორმით იხმარება, მყოფადში  
და-იფიცავს, და-იფიცებს ფორმებს გამოიყენებს:

იფიცავს, იფიცებს, იფიცავს || ფიცულობს — და-იფიცავს, და-იფი-  
ცებს.

რომ შეეჯამოთ ყველა ზემოთ განხილული ზმნის მონაცემები,  
აწმყო-მყოფადისათვის ასეთი სურათი გვექნება:

#### აწმყო

ითხოვს || თხოულობს  
იკლებს || კლებულობს  
იმატებს || მატულობს  
იღებს || ღებულობს  
იგებს || გებულობს  
იტყობს || ტყობილობს  
იჩემებს || ჩემულობს  
იფიცავს, იფიცებს, იფიცავს ||  
ფიცულობს<sup>4</sup>

#### მყოფადი

[მო-]ითხოვს  
[და-, მო-]იკლებს  
[მო-]იმატებს  
მი-იღებს [|| ა-იღებს]  
გა-იგებს  
შე-იტყობს  
და-იჩემებს  
და-იფიცავს, და-იფიცებს

აწმყოს ვითარებას იმეორებს მისგან ნაწარმოები ნამყო უსრუ-  
ლი და I კავშირებითი, მყოფადისას — ხოლმეობითი და მყოფადის  
კავშირებითი. სახელდობრ:

ნამყო უსრული: ითხოვდა || თხოულობდა, იკლებდა || კლებულობ-  
და, იმატებდა || მატულობდა, იღებდა || ღებულობდა, იგებდა || გებუ-  
ლობდა, იტყობდა || ტყობილობდა, იჩემებდა || ჩემულობდა, იფიცავდა,  
იფიცებდა, იფიცავდა || ფიცულობდა.

I კავშირებითი: ითხოვდეს || თხოულობდეს, იკლებდეს || კლებუ-  
ლობდეს, იმატებდეს || მატულობდეს, იღებდეს || ღებულობდეს, იგებ-  
დეს || გებულობდეს, იტყობდეს || ტყობილობდეს, იჩემებდეს || ჩემუ-  
ლობდეს, იფიცავდეს, იფიცებდეს, იფიცავდეს || ფიცულობდეს;

ხოლმეობითი: [მო-]ითხოვდა, [და-, მო-]იკლებდა, [მო-]იმატებდა,

<sup>4</sup> თხოულობს, კლებულობს, მატულობს, ღებულობს, გებულობს, ტყობილობს,  
ჩემულობს, ფიცულობს ზმნებს წმინდა პრაქტიკული მიზნით გებულობს, ღებულობს  
ტიპის ზმნათა სახელით აღვნიშნავთ.

მი-ილებდა [|| ა-ილებდა], გა-იგებდა, შე-იტყობდა, და-იჩემებდა, და-იფიცავდა, და-იფიცებდა.

**მყოფადის კავშირებითი:** [მო-]ითხოვდეს, [და-, მო-]იკლებდეს, [მო-]იმატებდეს, მი-ილებდეს [|| ა-ილებდეს], გა-იგებდეს, შე-იტყობდეს, და-იჩემებდეს, და-იფიცავდეს, და-იფიცებდეს.

დრო-კილოთა II ჯგუფი:

**ნამყო ძირითადი:** [მო-]ითხოვა, [და-, მო-]იკლო, [მო-]იმატა, მი-ილო [|| ა-ილო], გა-იგო, შე-იტყო, და-იჩემა, და-იფიცა.

**II კავშირებითი:** [მო-]ითხოვოს, [და-, მო-]იკლოს, [მო-]იმატოს, მი-ილოს [|| ა-ილოს], გა-იგოს, შე-იტყოს, და-იჩემოს, და-იფიცოს.

დრო-კილოთა III ჯგუფი:

**I თურმეობითი:** [მო-]უთხოვია, [და-, მო-]უკლია, [მო-]უმატია, მი-უღია [|| ა-უღია], გა-უგია, შე-უტყვია, და-უჩემებია, და-უფიცავს, და-უფიცია.

**II თურმეობითი:** [მო-]ეთხოვა, [და-, მო-]ეკლო, [მო-]ემატა, მი-ელო [|| ა-ელო], გა-ეგო, შე-ეტყო, და-ეჩემებინა, და-ეფიცა.

**III კავშირებითი:** [მო-]ეთხოვოს, [და-, მო-]ეკლოს, [მო-]ემატოს, მი-ელოს [|| ა-ელოს], გა-ეგოს, შე-ეტყოს, და-ეჩემებინოს, დაეფიცოს. თან:

ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ მყოფადისა და სხვა დრო-კილოთა ფორმები აწმყოს **ითხოვს, იკლებს, იმატებს, იღებს, იგებს, იტყობს, იჩემებს, იფიცავს (იფიცებს)** ფორმათა ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს (შდრ. წერს — და-წერს — და-წერა — და-უწერია). იქმნება ზმნის უღვლილების ერთიანი სისტემა, რომლის ფონზედაც **თხოულობს, კლებულობს, მატულობს, ღებულობს, გებულობს, ტყობილობს, ჩემულობს, ფიცულობს** ფორმები განცალკევებით დგანან. ბუნებრივად ისმის კითხვა ამ ფორმათა გაჩენის მიზეზისა და სალიტერატურო ენაში მათი ადგილის შესახებ.

**თხო-ულ-ობ-ს, კლებ-ულ-ობ-ს, მატ-ულ-ობ-ს, ღებ-ულ-ობ-ს, გებ-ულ-ობ-ს, ტყობ-ილ-ობ-ს, ჩემ-ულ-ობ-ს, ფიც-ულ-ობ-ს** ერთნაირად ნაწარმოები ზმნებია. მათი გაჩენა სალიტერატურო ენაში ისტორიულად ასპექტის წარმოების ახალი სისტემის ჩამოყალიბებას უკავშირდება<sup>5</sup>.

<sup>5</sup> ასპექტის სისტემის ცვლის შესახებ ქართულში იხ. ა. შანიძე, Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შობამე, 111, № 9, 1942; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 269—289, გვ. 514; თ. ზურაბიშვილი, ასპექტის გამოხატვის საშუალებანი ქართულში (ხელნაწერი), 1963; ზ. ქუმბურაძე, ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში: ორიონი, 1967, გვ. 336—356.

როგორც ცნობილია, ასპექტი ახალ ქართულში წარმოქმნის კატეგორია — მის ოპოზიციურ წყვილებს ზმნის ფორმაზე ზმნისწინის დართვა-დაურთველობა განასხვავებს. თუ ზმნას საერთოდ შეუძლია აწარმოოს ასპექტის კატეგორია, ე. ი. ჰქონდეს ასპექტობრივად დაპირისპირებული წყვილები, მაშინ მისი უზმნისწინო ფორმა ჩვეულებრივ უსრული ასპექტის — დაუმთავრებელი, დაუსრულებელი, ბოლომდე მიუყვანელი მოქმედების გამომხატველი იქნება, ხოლო ზმნისწინიანი ფორმა — სრული ასპექტისა, ე. ი. დამთავრებული, დასრულებული, ბოლომდე მიყვანილი მოქმედებისა. **ვწერე, ვხატე, ვაშენე** უზმნისწინო ფორმები უსრული ასპექტის გაგებას გვაძლევენ, მაშინ როცა ამავე ზმნების ამავე დროისა და კილოს ზმნისწინიანი ფორმები **დავხატე, დავწერე, ავაშენე** სრული ასპექტის შინაარსს გულისხმობენ. ეს ფორმები, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ასპექტით განსხვავდებიან, ერთი ნაკვთის (ნამყო ძირითადის) კუთვნილებას წარმოადგენენ. ზმნისწინიან და უზმნისწინო, შესაბამისად, სრულასპექტიან და უსრულასპექტიან ფორმათა დაპირისპირება ერთი საუღვლებელი ერთეულის ფარგლებში დამახასიათებელია II და III სერიისათვის.

I სერიაში განსხვავებული მდგომარეობაა. I სერიის უსრულასპექტიანი ფორმები აწმყოს წრეს ქმნის, სრულასპექტიანები — მყოფადისას, ე. ი. ასპექტობრივი სხვაობა აქ სცილდება ერთი საუღვლებელი ერთეულის ფარგლებს და დროულ სხვაობასაც გვაძლევს, რაც ფორმალურად ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების დაპირისპირებით გამოიხატება. **წერს, ხატავს, აშენებს** უზმნისწინო და, ამდენად, უსრულასპექტიანი ფორმები აწმყოს წრის კუთვნილებაა, **დაწერს, დახატავს, ააშენებს** ზმნისწინიანი და, ამდენად, სრულასპექტიანი ფორმები — მყოფადის წრისა. ასე რომ, წარმოების თვალსაზრისით აწმყო-მყოფადს ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები განასხვავებს.

ასპექტის წარმოების წესი ძველ ქართულში ახალი ქართულისაგან განსხვავებული იყო. ზმნისწინს, რომელიც ასპექტის საწარმოებელი ერთადერთი საშუალებაა ახალ ქართულში, ძველში მოქმედების სისრულე-უსრულობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. იგი მოქმედების მიმართულებას აღნიშნავდა ან ზმნას ახალ მნიშვნელობასა თუ განსხვავებულ შინაარსობრივ ნიუანსს აძლევდა. ასპექტობრივად არავითარ სხვაობას არ გვიჩვენებდა რომელიმე **ვალს** და **შევალს**, **აგდებს** და **გარდამოაგდებს**, **სცდის** და **გამოსცდის** ფორმები. აქ დასახელებული ყოველი ზმნისწინიანი და უზმნისწინო წყვილი ერთი და იმავე დროისა და კილოს და, რაც მთავარია, ერთი და იმავე ასპექტის გამომხატველი ფორმა იყო.

ასპექტი ძველ ქართულში უღვლილების კატეგორია იყო. დროისა

და კილოს გაგებასთან ერთად ზმნის საუღვლებელი ფორმა აუცილებლად ასპექტის გაგებასაც შეიცავდა. იგი ერთ რომელამე ასპექტს გამოხატავდა, განსხვავებით ახალი ქართულისაგან, სადაც ზმნას საპირისპირო ფორმები ერთი ნაკვთის ფარგლებშივე მოეპოვება. ასპექტით ძველ ქართულში ერთმანეთს უპირისპირდებოდა I და II სერიის ფორმები. განურჩევლად იმისა, ზმნა ზმნისწინიანი იყო თუ უზმნისწინო, დრო-კილოთა I ჯგუფის ფორმებს მუდამ უსრული ასპექტის შინაარსი ჰქონდა, დრო-კილოთა II ჯგუფის ფორმებს — მუდამ სრული ასპექტისა. ორივე სერიაში გვქონდა დრო-კილოები, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ასპექტით განსხვავდებოდნენ. ასპექტის მიხედვით უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს I და II სერიის დრო-კილოები: ნამყო უსრული და ნამყო ძირითადი, I კავშირებითი და II კავშირებითი, I ბრძანებითი და II ბრძანებითი.

I სერიის დრო-კილოთაგან ცალკე იდგა აწმყო. მას საპირისპირო ფორმა სრული ასპექტის სახით II სერიაში არ მოეპოვებოდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან აწმყო, რომელიც საუბრის მომენტში მიმდინარე მოქმედებას ვარაუდობს, ცხადია, სრული ასპექტის შინაარსს ვერ იგუებს.

ასევე განკერძოებით იდგა II სერიაში II ხოლმეობითი (აკეთის, გააკეთის; ხატის, დახატის), რომელიც ზმნის უძველეს ფორმადაა მიჩნეული<sup>6</sup>. იგი, ჩვეულებრივი, მარად მიმდინარე მოქმედების გამომხატველი ფორმა, ასპექტობრივად აწმყოს უფრო ეკედლებოდა, ვიდრე II სერიას.

ახალი ქართულისაგან განსხვავებით ძველს მომავალი დროის გამოხატავად საკუთარი ფორმები არ მოეპოვებოდა — მის მაგიერობას კავშირებითის ფორმები სწევდა. ამასთან, ძველ ქართულში მოქმედი წესის თანახმად, I კავშირებითით გადმოიცემოდა თხრობითი კილოს მომავალი დროის უსრული ასპექტი (რუსულის **буду делать** ტიპისა), II კავშირებითით — თხრობითი კილოს მომავალი დროის სრული ასპექტი (**сделаю** ტიპისა).

რაც შეეხება III სერიის ფორმებს, ასპექტის მიხედვით ისინი, ახალი ქართულისაგან განსხვავებით, ნეიტრალური იყვნენ.

დროთა განმავლობაში ზმნისწინმა, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდა ზმნას (რის გამოც ზმნა უფრო კონკრეტული შინაარსის გამომხატველი გახდა), სრული ასპექტის მიმნიჭებელი ძალა შეიძინა და

<sup>6</sup> არნ. ჩიჭობავა, პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, IV, № 1, 1943, გვ. 93—95; მისივე, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948, გვ. 76—80.

იგი თავის ძველ ფუნქციებს შეუთავსა. ეს პროცესი, რომელიც ნელა მიმდინარეობდა, ძირითადად XI—XVII საუკუნეებში გაგრძელდა.

დრო-კილოთა ჯგუფების მიხედვით დაპირისპირების პრინციპი, რომელიც ძველ ქართულში წესად იყო გატარებული, თანდათანობით უთმობს ადგილს ზმნისწინების მიხედვით დაპირისპირების პრინციპს. ასპექტმა, რომელიც უღვლილების კატეგორია იყო, სიტყვაწარმოებაში დაიჭირა ადგილი და, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების ძველი გრამატიკული შინაარსის რენტერპრეტაციის შედეგად მან ერთი საუღვლებელი ერთეულის ფარგლებშივე მისცა ზმნას საპირისპირო ფორმები. ასე დაუპირისპირდა ერთმანეთს ძველი ქართულის წერა და დაწერა, წეროს და დაწეროს. ასპექტის გაგება შეიძინა ძველ ქართულში ამ თვალსაზრისით ნეიტრალურმა დრო-კილოთა III ჯგუფმაც.

ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ერთმანეთს გაემიჯნა და ენაში არსებული ფორმების საფუძველზე ძველი ქართულის დრო-კილოთა I ჯგუფში შემავალი სამი ერთეულის გარდა (აწმყო, ნამყო უსრული, I კავშირებითი) ახალ ქართულში დამატებით სამი ახალი ერთეული (მყოფადი, I ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი) მივიღეთ. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უზმნისწინო, ე. ი. უსრულ-ასპექტიანი ფორმები აწმყოში გაერთიანდა, ზმნისწინიანმა, ე. ი. სრული ასპექტის გამომხატველმა ფორმებმა ახალი შინაარსი შეიძინეს და მყოფადის წრე შექმნეს. თხრობითი კილოს მომავალ დროს (მყოფადს) ახალ ქართულში საკუთარი ფორმები გაუჩნდა და კავშირებითებმაც მის გამოხატვაზე ხელი აიღეს. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მყოფადისათვის ქართულს მხოლოდ სრულასპექტიანი ფორმები დარჩა. ისეთები კი, როგორიც ძველ ქართულში გვქონდა I კავშირებითის ფორმათა სახით, ახალ ქართულში აღარ გვაქვს. საკუთრაც მყოფადის ფორმები ახალ ქართულში ყველა სრულასპექტიანია. საჭიროების შემთხვევაში უსრული ასპექტისათვის ენა გამოიყენებს აწმყოს ფორმებს, რომელთაც კონტექსტში მყოფადის გაგება ეძლევა. მაგ., ვწერ, ვხატავ ახლა (пишу, пишу), მაგრამ: ვწერ, ვხატავ ხვალაც; რომელიც თავისი გრამატიკული შინაარსით ძველი ქართულის ვწერდე, ვხატვიდე ფორმათა ტოლფასია.

ასპექტის წარმოების სისტემის შეცვლამ და, შესაბამისად, ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების დაპირისპირებამ ისიც გამოიწვია, რომ ახალ ქართულში უსრული ასპექტის ზმნას აღარა აქვს შესაძლებლობა გვიჩვენოს მოქმედების მიმართულება და ერთმანეთისაგან განასხვავოს ის შინაარსობრივი ნიუანსები, რომლებიც ზმნას ზმნისწინმა მიანიჭა. წინააღმდეგ ახალი ქართულისა, ძველში აწმყოს უსრულ-

ასპექტიანი ფორმა კარგად განასხვავებდა ერთმანეთისაგან. საერთოდ წერასთან გვექონდა საქმე (წერს), გადაწერასთან (გადაწერს), გადმოწერასთან (გადმოწერს), მიწერასთან (მისწერს), მოწერასთან (მოხწერს) თუ ჩაწერასთან (ჩაწერს — შთაწერს). ახალ ქართულში უსრული ასპექტის გამოსახატავად გვაქვს მხოლოდ წერს, რომელსაც რამდენიმე სრულასპექტიანი ფორმა უპირისპირდება, რის გამოც კონტექსტის გაუთვალისწინებლად ვერ ხერხდება უსრულასპექტიანი ფორმის მნიშვნელობის დადგენა.

მეორე მხრივ, გვაქვს აღწერს, აღაშფოთებს, აღნიშნავს, აღრიცხავს, აღჭურავს, განაგრძობს, განიკითხავს, განიხილავს, განეკუთვნება, განსახლვრავს, განმარტავს, განაზოგადებს, განასხვავებს, შთააგონებს, შთაბერავს და ბევრი სხვა ზმნა, რომლებიც უზმნისწინოდ არ იხმარებიან და რომელთაც ამის გამო აწმყო-მყოფადისათვის საზიარო ფორმები აქვთ. საჭიროების შემთხვევაში ამ ფორმებს, რომლებიც ა გ ე ბ უ ლ ე ბ ი თ მყოფადის სრულასპექტიანი ფორმებია, უსრულასპექტის და, შესაბამისად, აწმყო დროის გაგება ეძლევა.

მიუხედავად იმ დიდი გადაჯგუფებისა, რომელსაც ენაში ძველი გრამატიკული შინაარსის ახალი გაგება მოჰყვა, ბევრი ზმნა II სერიის სრულასპექტიანი დარჩა. ეს ზმნებია: ნახა, ჰკითხა, იპოვა, პოვა, სთხოვა, ითხოვა, უთხრა, თქვა, ჰკადრა, ბრძანა, უბრძანა, ქნა (ქმნა), უპასუხა, უსაყვედურა, უკარნახა, იკითხა, იყიდა და სხვა, რომელთა I სერიის შესაბამისი ფორმები სრულასპექტიანი გახდა. სრულასპექტიანობის გამო წ ა რ მ ო შ ო ბ ი თ აწმყოს ფორმამ მომავლის გაგება შეიძინა და აწმყოს წრიდან მყოფადის წრეში გადაინაცვლა, ხოლო აწმყოს ადგილი ზმნის უღვლილების სისტემაში ც ა რ ი ე ლ ი დ ა რ ჩ ა .

ასე გაუტოლდა მყოფადის წრის ზმნებს ნახავს, ჰკითხავს, იკითხავს, პოვებს, სთხოვს, ითხოვს, ილოცავს, ეტყვის, იტყვის (შდრ. ცნობილი ტაევი ვეფხისტყაოსნიდან: „ილოცავს, იტყვის: მალალო, ღმერთო ხმელთა და ცათა“ (809), სადაც ჩვენთვის საინტერესო ილოცავს და იტყვის ფორმებს აწმყო დროის გაგება აქვს), ბრძანებს, უბრძანებს, იქმს, უპასუხებს, უსაყვედურებს, უკარნახებს და სხვ., რომლებიც წარმოშობით აწმყოს ფორმები იყო.

საჭირო გახდა ზმნის უღვლილების სისტემაში არსებული ცარიელი ადგილის შევსება, რისთვისაც ენამ სხვადასხვა საშუალებას მიმართა.

ა) ზმნების დიდს უმრავლესობაში აწმყო-მყოფადში საზიარო ფორმები იქნა გამოყენებული: სთხოვს, ბრძანებს, უბრძანებს, უპასუხებს, უკარნახებს, უსაყვედურებს, ითხოვს, ისვრის, პოვებს, სტყორ-



ცნის, უბოძებს და სხვა. ამ ფორმებს შეიძლება აწმყოს გაგებაც ჰქონდეს და მყოფადისაც. ამის მიხედვით ფორმა ხან უსრულასპექტიანი იქნება (აწმყოსათვის), ხან — სრულასპექტიანი (მყოფადისათვის).

ბ) თქვა, უთხრა, ჰკითხა ზმნებს აწმყოში სხვა ფუძის ან იმავე ფუძის, მაგრამ სხვაგვარად ნაწარმოები ფორმები შეენაცვლა. სახელდობრ: ამბობს (— იტყვის — თქვა), ეუბნება (— ეტყვის — უთხრა)<sup>7</sup>, ეკითხება (— ჰკითხავს — ჰკითხა).

გ) სხვა შემთხვევაში აწმყოს დაცარიელებული ადვილის შესავსებად ახალი ფორმები შეიქმნა. კერძოდ, ამ ფორმების საწარმოებლად ენაში ფურცელ მოცემული ზმნის -ილ და -ულ სუფიქსიანი ვნებითი გვარის მიმღეობა იქნა გამოყენებული და მასზე -ობ სუფიქსის დართვით ახალი ფორმები გაკეთდა<sup>8</sup>. ასე მივიღეთ ნახულობს, კითხულობს, პოულობს, შოულობს, სესხულობს, ღოცულობს, კადრულობს, კისრულობს, ყიდულობს<sup>9</sup>, რომლებმაც ნახავს, იკითხავს, იპოვის, იშოვის, ისესხებს, ილოცავს, იკადრებს, იკისრებს, იყიდის ზმნებთან ერთად აწმყო-მყოფადის ასპექტობრივად დაპირისპირებული წყვილები შექმნეს. დრო-კილოთა მიხედვით ამჟამად ასეთი სურათი გვაქვს:

| აწმყო     | მყოფადი        | ნამყო ძირითადი            |
|-----------|----------------|---------------------------|
| კითხულობს | [წა-] იკითხავს | [წა-]იკითხა <sup>10</sup> |
| ყიდულობს  | იყიდის         | იყიდა                     |
| პოულობს   | იპოვის         | იპოვა                     |
| შოულობს   | იშოვის         | იშოვა                     |
| სესხულობს | ისესხებს       | ისესხა                    |
| ღოცულობს  | ილოცავს        | ილოცა                     |

<sup>7</sup> ეტყვის ძველ ქართულში ჰრქუა ზმნის აწმყოს ფორმა იყო (შდრ. ამენ გ ე ტ ყ ვ შენ, მრკ. 13,2D); არა ჰურისათვის გ ა რ ქ უ თქუენ, მ. 28,7). რაც შეეხება უთხრა ზმნას, მას აწმყოში საკუთარი უთხრობს ფორმა ჰქონდა (შდრ. ნუვის რას უ თ ხ რ ო ბ თ, მრ. 1,44; მ ი თ ხ ა რ მე, სადა დასდევ, ი. 20,15). უთხრა ფორმამ, რომელიც ძველ ქართულში ჰრქუა ფორმის პარალელურად იხმარებოდა (უფრო გავრცელებული ჰრქუა იყო), შეცვალა და დროთა ვითარებაში სავსებით განდევნა ხმარებიდან ჰრქუა. უთხრობს დღეს თითქმის აღარ იხმარება. იშვიათად გვხვდება ზმნისწინაინა მოუთხრობს (ხშირია ამავე მნიშვნელობის უამბობს და უყვება), რომელსაც ეს ფორმა საზიარო აქვს აწმყო-მყოფადისათვის. ნამყო ძირითადში ამავე ფუძიდან ნაწარმოები მოუთხრო გვაქვს, თურმეობითში სხვა ფუძე — უამბაა.

<sup>8</sup> სპეციალურ ლიტერატურაში ზმნათა ეს ჯგუფი მიმღეობითი ზმნების სახელითა ცნობილი (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 544).

<sup>9</sup> აქ დასახელებული ყველა ზმნა ერთნაირი სიძველისა არაა. ჩვენ ძირითადად თანამედროვე ქართლის ვითარებიდან ამოვღივართ და სიმარტივისათვის ყველას ერთად წარმოვადგენთ.

<sup>10</sup> ამბავს კითხულობს, ამბავს იკითხავს, ამბავი იკითხა, მაგრამ: წიგნს კითხულობს, წიგნს [წა-]იკითხავს, წიგნი [წა-]იკითხა.

კადრულობს  
კისრულობს

იკადრებს  
იკისრებს

იკადრა  
იკისრა<sup>11</sup>

ფორმათა წარმოების წესი აქ ისეთივეა, როგორც ცხოვრობს ტიპის ერთპირიან ზმნებში. შდრ.:

| აწმყო    | მყოფალი   | ნამყო ძითთადი |
|----------|-----------|---------------|
| ცხოვრობს | იცხოვრებს | იცხოვრა       |
| მეფობს   | იმეფებს   | იმეფა         |
| ომობს    | იომებს    | იომა          |
| თამაშობს | ითამაშებს | ითამაშა       |

და სხვ.

საშუალო გვარის ზმნების ფორმათა წარმოება ცნობილია. ამ ტიპის ზმნებს საკუთარი მხოლოდ აწმყოს წრის ფორმები ჰქონდა. დანარჩენი დრო-კილოების ფორმები იმავე ფუძის მოქმედებითი გვარის ზმნათაგან შეივსეს. კერძოდ ერთპირიანმა საშუალო გვარის ზმნებმა ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნის სასუბიექტო ქცევის ფორმები გამოიყენეს, ხოლო ორპირიანმა საშუალო გვარის ზმნებმა (ვარდა იმისა, რომ მათი რიცხვი ენაში საერთოდ მცირეა, უმეტესობა მხოლოდ აწმყოში იხმარება) — სამპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნის საობიექტო ქცევის ფორმები<sup>12</sup>. ასე მივიღეთ მეფობს — იმეფებს და ჰვატრონობს — უჰატრონებს, ორი ყალიბი ამგვარ ზმნათათვის.

ეს პროცესი ენაში, როგორც ჩანს, განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობდა ასპექტის წარმოების ახალი სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ. პარალელურად მიმდინარე პროცესი ჩანს უზმნისწინო სრულასპექტიან, წარმოშობით სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ზმნათათვის აწმყოს წრის ფორმათა შექმნა. ოღონდ აქ პირუკუ მოვლენას ჰქონდა ადგილი. გვექონდა მყოფადისა და ნამყო ძირითადის ფორმები და საჭირო იყო აწმყოს ფორმათა წარმოება, წინააღმდეგ საშუალო გვარის ზმნებისა, რომელთაც აწმყოს ფორმები ჰქონდა, ხოლო მყოფადისა და ნამყო ძირითადისა კი — არა.

ეს ორი სისტემა, რომელიც თანამედროვე ქართულში კარგადაა ჩამოყალიბებული, წარმოების თვალსაზრისით არავითარ სხვაობას არ გვიჩვენებს.

<sup>11</sup> ცალკე დგას ნახულობს, რომელიც ნახა, ნახავს ზმნის ენაცვლება აწმყოში. ვისიმე ნახვის, მონახულების მნიშვნელობით ამ ზმნამ საკუთარი ი-ნიანი ფორმები გაიჩინა: ნახულობს, ინახულებს, ინახულა. ამავე რიგისაა მარხულობს, იმარხულებს, იმარხულა.

<sup>12</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 489—490.

ცხოვრობს, მეფობს ერთპირიანი გარდაუვალი ზმნებია, მათი მონაცვლე იცხოვრებს, იმეფებს — ორპირიანი გარდამავალი ზმნები. მაგრამ იმის გამო, რომ ეს ფორმები ერთპირიან ზმნებს ენაცვლებიან, ზრუნვა-ცვალებად ობიექტს კარგავენ და გვაქვს არა თავს იცხოვრებს, თავს [გა-]იმეფებს, არამედ იცხოვრებს, იმეფებს — უობიექტოდ.

კითხულობს, ყიდულობს, პოულობს... აგებულებით არ განსხვავდებიან ერთპირიან საშუალო გვარის ზმნათაგან. მაგრამ, რამდენადაც ისინი პარადიგმას უვსებენ ორპირიან გარდამავალ ზმნებს, მათ შინაარსობრივად უკავშირდება ობიექტი, რომელიც რიგ შემთხვევაში ზმნაში მორფოლოგიურ გამოხატულებასაც იძენს. თანამედროვე ქართულისათვის ჩვეულებრივ ფორმებად იქცა მკითხულობს, გკითხულობს; მპოულობს, ვპოულობს; მნახულობს, განახულობს; მკადრულობს, გკადრულობს.

ნახულობს, კითხულობს, ყიდულობს, პოულობს, შოულობს, ღოცულობს, კადრულობს, კისრულობს ფორმები, რომლებიც ენაში ზმნის უღვლილების სისტემაში არსებული აწმყო ს ც არ ი ე ლ ი ა დ გ ი ლ ი ს შ ე ს ა ვ ს ე ბ ა დ შ ე ი ქ მ ნ ა, ენაში დამკვიდრდა და მისი კუთვნილება გახდა<sup>13</sup>.

ფუძის წარმოების მიხედვით ამ ჯგუფში შემოდის ჩვენთვის საინტერესო თხოულობს, კლებულობს, მატულობს, ღებულობს, გებულობს, ტყობილობს, ჩემულობს, ფიცულობს, ე. წ. გებულობს, ღებულობს ტიპის ზმნები. აქაც ფუძედ აღებულია -ილ და -ულ სუფიქსიანი გენბითი გვარის მიმღეობა და მასზე -ობ თემის ნიშნის დართვით ახალი ფორმებია ნაწარმოები. პოულობს, შოულობს ტიპის ზმნებთან ასეთი წარმოება ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი და ენობრივი თვალსაზრისით გა მ ა რ თ ლ ე ბ უ ლ ი ი ყ ა — აწმყო ს ც არ ი ე ლ ი ა დ გ ი ლ ი ზმნის უღვლილების პარადიგმაში შ ე ვ ს ე ბ ა ს ს ა ჭ ი რ ო ე ბ დ ა. ვერ ვიტყვით, რომ გებულობს, ღებულობს ტიპის ზმნათა გაჩენის მიზეზი იმავე ენობრივი საჭიროებით ყოფილიყოს გამოწვეული. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, აწმყო-ყოფადს აქ საკუთარი ფორმები მოეპოვება და ფორმათა დაპირისპირებაც ჩვეულებრივი, ახალ ქართულში მოქმედი წესის თანახმად ხორციელდება. ერთ შემთხვევაში აწმყო-ყოფადის ფორმათა გარჩევა ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმებით ხერხდება (მაგ.: იღებს — მი-იღებს, იგებს — გა-იგებს, იტყობს — შე-იტყობს, იჩე-

<sup>13</sup> ამ ზმნებს (ე. ი. ენაში დამკვიდრებულ მიმღეობით ზმნებს) პოულობს, შოულობს ტიპის ზმნათა სახელით აღვნიშნავთ. გებულობს, ღებულობს და პოულობს, შოულობს ტიპის ზმნათა ცალ-ცალკე გამოყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია და მას მხოლოდ წმინდა პრაქტიკული დანიშნულება აქვს — თავი ავარი-დოთ ყველა ზმნის ჩამოთვლას.

შებს — და-იჩემებს, იფიცავს — და-იფიცავს, იფიცებს — და-იფიცებს). სხვა შემთხვევაში აწმყო-მყოფადს საზიარო ფორმები აქვს (მაგ.: ითხოვს — [მო-]ითხოვს, იკლებს — [და- მო-]იკლებს, იმატებს — [მო-]იმატებს), თუმცა, როგორც ვხედავთ, ეგვევ ფორმები გარკვეული შინაარსობრივი ნიუანსით ზმნისწინებსაც დაირთავენ.

**თხოულობს, კლებულობს, მატულობს** ზმნათა შექმნის მიზეზს აწმყო-მყოფადში საზიარო ფორმათა გარჩევის ტენდენცია წარმოადგენს, მაგრამ მას გამართლებულად ვერ ჩაეთვლით. გარდა იმისა, რომ კონტექსტში ფორმათა გარჩევა ყოველთვის ადვილად ხერხდება და არასოდეს არ არის მათი აღრევის საშიშროება, **ითხოვს, იკლებს, იმატებს**<sup>14</sup> ზმნები საერთო წესიდან გამონაკლისს არ წარმოადგენენ — აწმყო-მყოფადის საზიარო ფორმებით ენაში ზმნათა დიდი ჯგუფი ხასიათდება, რაც ასპექტის წარმოების ახალ სისტემაზე გადასვლამ გამოიწვია.

ასევე ვერ გავამართლებთ **ღებულობს, გებულობს, ტყობილობს, ჩემულობს, ფიცულობს** ზმნურ ფორმებს. ისინი სხვა მიმღეობით და საერთოდ საშუალი გვარის ზმნათა ანალოგიით შექმნილი ფორმებია. ანალოგიის საფუძველი, როგორც ჩანს, წმინდა ფორმალური ხასიათისაა. ჩვენ მიერ განხილული ყველა ზმნა, რომელსაც აწმყოში მიმღეობითი ზმნური ფორმა შეენაცვლა, წარმოშობით სასუბიექტო ქცევის ფორმაა, მაგრამ სასუბიექტო ქცევის გაგება არც ერთ მათგანს არ მოეპოვება. ისინი უფრო ნეიტრალურ შინაარსს იკუთვნიან, ვიდრე რომელიმე ქცევის გაგებას. რადგან ენაში სწორედ ასეთი ყალიბი გვქონდა, ერთი მხრით, **ცხოვრობს** ტიპისა და, მეორე მხრით, **პოულობს, შოულობს** ტიპის მიმღეობითი ზმნების სახით, თავი იჩინა უნიფიკაციისადმი მიმართულმა საერთო ენობრივმა ტენდენციამ და ძირითად ფორმებს აწმყოში გვერდით ახალი ფორმები ამოუდგა. ცალკეულ ზმნათა დახასიათებისას ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმ ფაქტს, რომ ასეთი შენაცვლება ფორმებისა გამორიცხული იყო ყველგან, სადაც ზმნას მკაფიოდ გამოხატული გაგება ჰქონდა სასუბიექტო ქცევისა.

<sup>14</sup> აწმყო დროის გაგება აქვს **იომენს** (დრო არ ითმენს), **იწევს** (წყლის დონე დაბლა ან მაღლა იწევს), **იწონის** (მნიშვნელობით ამა თუ იმ წონისაა. მაგ.: „მიკროსკოპი... რამდენიმე კილოგრამს იწონის და ადვილად თავსდება მკვლევიარის მავილაზე“. — „ახ. კომ.“), **იჩქარის** („იჩქარებიან დღეები“. — გ. ტაბ.), **იცდის, იცინის, იღარებს** ზმნებს, რომლებიც ი- თავსართიანი წარმოებითა და სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით **იკლებს, იმატებს** ზმნათაგან არ განსხვავდებიან.

**იკლებს, იმატებს**, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთპირიანები არიან და **კლებულობს, მატულობს** ფორმათა გაჩენით წარმოების თვალსაზრისით საშუალი გვარის ზმნებს უთანაბრდებიან (შდრ. **ცხოვრობს** — **იცხოვრებს** და **კლებულობს** — **იკლებს, მატულობს** — **იმატებს**).

გარდა ამისა, **გებულობს, ღებულობს** ტიპის ზმნები ყველა შემთხვევაში ვერ უწევს მეტოქეობას ძირითად ფორმებს. ისინი ფორმალური თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში გვხვდებიან. ამიტომ სალიტერატურო ენაში ამ ფორმათა ხმარება გაუმართლებლად უნდა იქნეს მიჩნეული. არჩევანის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს **იხოსვს, იკლებს, იმატებს, იღებს, იგებს, იტყობს, იჩემებს, იფიცავს (იფიცებს) ფორმებს, როგორც წარმოების თვალსაზრისით მართებულსა და სალიტერატურო ენის განვითარების მთელს მანძილზე ვაბატონებულს.**

როგორც აღნიშნული იყო, ყველა ზემოთ დასახელებული ზმნა, რომელთაც სალიტერატურო ენაში მოცილე ფორმა გაუჩნდა, სასუბიექტო ქცევის შინაარსისაგან დაცლილია. დიალექტებში ეს პროცესი უფრო შორს წასული ჩანს. აქ საცილობელი ფორმა შეიძლება გაუჩნდეს აშკარად სასუბიექტო ქცევის გამომხატველ ზმნებსაც. ასეთი რომელიმე **ღებულობს, მართლულობს, რჩეულობს, ქებულობს, ცვლილობს, ხლილობს, რომლებიც იღებს, იმართლებს, ირჩევს, იქებს, იცვლის, იხლის** ფორმათა პარალელურად იხმარებიან აწმყოში. მეორე მხრივ, **ნატრულობს** და **წყენულობს** სახით პარალელურ ფორმებს გვაძლევენ **ნატრობს** და **სწყინს** საშუალო გვარის ზმნებიც.

დავსახელებთ **გებულობს, ღებულობს** ტიპის კიდევ რამდენიმე ზმნას. ესენია: **ხმობილობს, ნებულობს, სროულობს (|| სროლილობს), ყრილობს, წეულობს, ქადულობს, კვებულობს, ძეულობს, ნდომულობს, მეტულობს, კეთულობს, ცლილობს, ხდილობს, ცნობილობს, ტვირთულობს**<sup>15</sup>...

აქაც ერთი ნაწილი ამ ტიპის ზმნებისა აწმყო-მყოფადის ფორმათა გარჩევის მიზნითაა შექმნილი, უმრავლეს შემთხვევაში კი ენაში მათი გაჩენის საფუძველი მხოლოდ ანალოგიაა.

#### ა) **რჩეულობს** (ირჩევს — ირჩევს)

...ქართველები წამებასა და სიკვდილს რჩეულობდნენ, ვიდრე მაცხოვრის დაღატს (ი. გოგებ.).

გარდასწყვიტეს ნუნუს გადაცემა იმ ოჯახში, რომელშიაც შესვლას ქალი სიკვდილს რჩეულობდა (ა. ყაზბ.).

#### **ხმობილობს** (იხმობს — იხმობს)

„კაზარებში არეულობაა... გ ხ მ ბ ი ლ რ ბ ე ნ — მობრძანდიო“ (დ. კლდ.).

<sup>15</sup> რამდენიმე გამონაკლისის გარდა ეს ფორმები დოკუმენტაციითურთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდანაა დამოწმებული.

## ნებულობს (ინებებს — ინებებს)

აგრე ნებულობს ბიძაჩემი, ჩემი მფარველი (ი. მაჩაბ. თარგმ.).  
რად მნებულობ აგრე ცხარედ ლაპარაკსაო (ილია).  
მაგას რაზე ნებულობთ? (დ. კლდ.).

## დებულობს (იდებს — იდებს)

და გულთმისნობას თავს დებულობთ? (ი. მაჩაბ. თარგმ.).

## ხლილობს (იხლის — იხლის)

თავში ქვას ეხლილობთ<sup>16</sup>.

## სროულობს || სროლილობს (ისვრის — ისვრის)

ქებებს სროულობს || სროლილობს (ამბობენ გურიასა და იმერეთში).

## ქებულობს (იქებს — [შე-]იქებს)

ჭერ დედა ქებულობს თავს (ილია).

## ყრილობს (იყრის — [ამო-]იყრის)

... ზოგს მათვანს სატუსაღოში გზავნიდა და ზოგზე კი მათრახით და წყებლით ყრილობდა ჯავრს (ე. ნინოშ.).

... უღლიდან გამოშვებული ხალხი ენას ანძრევდა, ქარს იდებდა, გულის ბუხარს ყრილობდა (ვ. ბარნ.).

... უნის გამწარებული კვაპიკო პატარა ქერა ვერიკოზე ყრილობდა (მ. ჯა-  
ვახ.).

იყრის აწმყოს ფორმა საზიაროა სხვადასხვა ზმნური ერთეულები-  
სათვის. მაგ.: ა-იყრის: ტანს აიყრის, იარაღს აიყრის, გულს  
აიყრის; მო-იყრის: მუხლს მოიყრის; და-იყრის: თავზე ნაცარს  
და-იყრის; იყრის (აწმყო-მყოფადისათვის საზიარო): კენჭს იყ-  
რის.

ყრილობს მხოლოდ იყრის — [ამო-]იყრის ლექსიკურ ერთეულს  
ენაცვლება.

ნდომულობს (ინდომებს — [მო-]ინდომებს). თანამედროვე ქარ-  
თულში ამ მნიშვნელობით უპირატესად სურს და უნდა ზმნე-  
ბი იხმარება.

იმას ნდომულობთ, რაც და ვინც უფრო გაგიმწვავეთ წყულულსა და ტი-  
ვილს (ი. მაჩაბ. თარგმ.).

ბერუა გახლავსთ, ... თქვენს ნახვას ნდომულობს (ზ. ანტ.).

ქალაი თავს იკლავს! არ ნდომულობს მაგის ძმას (ა. ყაზბ.).

<sup>16</sup> ილუსტრაცია ამოღებულია ა. შანიძის ქართული გრამატიკის საფუძვ-  
ლებიდან, I, 1953, გვ. 514.

**ბ) წეულობს** (იწევს — მო-იწევს [ჭირნახულს, სარჩოს]).

ახლა დედა და შვილი თითონ მუშაობდნენ და წეულობდნენ წლიურ სარჩოს (ე. ნინოზ.).

**იწევს** აწმყოს ფორმა საზიაროა შემდეგი ზმნური ერთეულებისათვის: **ა-იწევს, და-იწევს** (სახელოებს, კაბის კალთას იწევს; წყლის დონე დაბლა ან მაღლა იწევს); **გა-იწევს, მა-იწევს** (განზე იწევს; საჩხუბრად იწევს); **იწევს** (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში — წასასვლელად იწევს).

**წეულობს** — მოცილე ფორმა აწმყოში თავს იჩენს მხოლოდ მაშინ, როცა **იწევს** ზმნას **მოსავლის, ჭირნახულის ადებას** მნიშვნელობა აქვს.

**მართულობს** (იმართლებს — გა-იმართლებს თავს)

ბოჭაული... თავს მართულობდა (ვაჟა).

სულ იმათ ელაპარაკება, თავს მართულობს (ვაჟა).

**ქადულობს** (იქადის — და-იქადებს)

ქორდანი... ჰქადულობს, რომ ახალი ამბები შემოაქვს ჩვენში (ილია). ასურელთა მეფენიც კი ამიების მოტაცებასა და წაღებას ჰქადულობდნენ (ილია).

რა გექმნათ... ის მოთმინება, რომლითაც... თქვენ ქადულობდით (ი. შაჩაბ. თარგმ.).

**კვეხულობს** (იკვეხნის — და-იკვეხნის)

იგი ირმის მოკვლასა ჩემულობდა და კვეხულობდა (ი. გოგებ.).

ასეთ გამირს რომ არა ჰკავხარ? ტყუალა კვეხულობს გამირობასო (შ. დად.).

**ძეულობს** (იძიებს — გამო-იძიებს)

ბერძნისა სხვადასხვა საქმესაც ძეულობს (ვაჟა).

**მეტულობს** (იმეტებს — გა-იმეტებს)

[ანგელოზები] არ მეტულობენ სხვებისთვის საუკეთესოს, კარგებსა (ვაჟა).

**კეთულობს** (იკეთებს — მო-იკეთებს [ავადმყოფი])

წამლობა, ლოცვის გარდა, გერაფერი გუუბედეს, ვინ იცის, რა ბატონებიან და ისე, რაც უძნელდება, კეთებით არ კეთულობენ (ე. ნინოზ.).

**ცლილობს** (იცლის — მო-იცლის)

ვერც ცლილობს (ამბობენ ქართლში).

## ცვლილობს (იცვლის — გამო-იცვლის, შე-იცვლის)

როდესაც ლომს ერთს ალაგას საკმელი შემოაკლდება, მაშინ ბინასა ცვლილობს, სწავან გადადის (ი. გოგებ.).

თორემ განზრახვა ანუ უქმდება, ან იმდენ-გზის სახესა ცვლილობს, რამდენს ენასაც (ი. მაჩაბ. თარგმ.).

## ხდილობს (ბოდიშს იხდის — ბოდიშს მო-იხდის)

და მე, ... მიზეზი თვითონ ამ ომისა, ბოდიშსა ვხდილობ, როგორც შეპყვების იგი ჩემსა პატივ-ღირსებას (ი. მაჩაბ. თარგმ.).

## ცნობილობს (ცნობს — იცნობს)

ვეღარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს (გ. ტაბ.).

ზევრი ცნობილობდა თავისთავს აპელაციის მცოდნეში (გ. ტაბ.).

ბავშვი ერთხელ ნახულსაც ცნობილობს მეორეჯერ შეხვედრისას (დ. უზნ.).

## ნატრულობს (ნატრობს — ინატრებს)

ამ ქალებს ნაჭარბევად აქვთ ისეთი რანე, რასაც მილიონობით ხალხი ნატრულობს (მ. ჯავახ.).

ვაბა... სულ იმას ნატრულობდა, რაც შეიძლება მეტ ხანს გადაედოთ არჩევნები (კ. კალ.).

## წყენულობს, წყინულობს (სწყინს — ეწყინება)

თუ მართლა წყენულობ, მალე მტერი შენ მოგიკვდეს, მალე იაკომ ეს ქაღალდი შენი ჭირის სანაცვლოდ გაიხადოს! (ილია).

თავ-თავ ურჯულო წყინულობს: „ჩვენაც წავიდათ ვალზედა“ (ხევს. პოეზია).

ტვირთულობს (თანამედროვე სალიტერატურო ენაში ამ მნიშვნელობით უპირატესად კისრულობს — იკისრებს) ზმნა იხმარება

ზრუნვასა და შრომას არ ტვირთულობთო და მართო უზრუნველობა გიყვართო (რ. ერისთ.).

— აბა თქვენში საკმლის მოხარშვას ვინა ტვირთულობს? (%. ანტ.).

არც ისე ძნელია, მე ვტვირთულობ მაგას (ვ. ბარს.).

რაც უფრო მეტად ვიხვეთ უკან XIX—XX საუკუნეთა მიჯნისაკენ, მით უფრო ხშირდება ამ ფორმათა გამოყენების შემთხვევები. ეს ფორმები თანამედროვე ქართულში ვერ დამკვიდრდა (რაც სალიტერატურო ენის როლის ზრდას უნდა მიეწეროს) და დღეს მათ არავინ ხმარობს. იშვიათი გამონაკლისის სახით შეიძლება შეგვხვდეს ცნობილობს, ნატრულობს ფორმები, ისიც უპირატესად სასაუბრო ან მხატვრული ლიტერატურის ენაში.